ხალგაზრდა ვერიელი

1921 წლიდან

9 ნოემბერი შაბათი 1991 № 128 (11761)

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბრძანებულება

საქართველოს რესპუბლიკაში დისლოცირებული სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების იარაღის, საბრძოლო მასალის, მიმოსვლის საშუალებების, სამხედრო ტექნიკისა და სხვა ქონების შესახებ

რესპუბლიკაში დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით ვ ა დ გ ე ნ:

1. გამოცხადდეს საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებად საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დისლოცირებული სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების იარაღი, საბრძოლო მასალა, მიმოსვლის საშუალებები, სამხედრო ტექნიკა და სხვა ქონება.
2. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაიწყოს მოლაპარაკება სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ამ ბრძანებულების პირველ პუნქტში აღნიშნული ქონების საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებაში გადმოსაცემად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია

თბილისი. 1991 წლის 7 ნოემბერი.

ქრონიკა

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა დაჯილდოვნა:

რომან ლევანის ძე გვენცაძე ქ. თბილისის სამხედრო კომენდანტად.
ოთა სიმონის ძე მიდელაური თიანეთის რაიონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად.

დაიწყო შიმშილობის აქცია

6 ნოემბერს თბილისის კინემატოგრაფისტთა სახლთან შიმშილობის აქცია დაიწყო საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თხუთმეტმა წევრმა. ამ პოლიტიკური პარტიისათვის დამახასიათებელი უკიდურესად რადიკალური პოზიციის მიუხედავად, ამქამინდელი აქცია ორადორი მოთხოვნით მიმდინარეობს: დაინიშნოს გიორგი ჭანტურიას სასამართლო პროცესი და რესპუბლიკის ხელისუფლებამ დაუშვას საქართველოში სპეციალური საერთაშორისო კომისია.

აქციის მონაწილეებს გადაწყვეტილი აქვთ სასამართლო პროცესის დანიშვნისთანავე შეწყვიტონ შიმშილობა. მათი აზრით საქმის განხილვის დაწყებას წინ არაფერი უდგას, ვინაიდან ძიება თითქმის დასრულებულია, ხოლო პარტიის ლიდერი გიორგი ჭანტურია ჩვენების მიცემაზე უარს აცხადებს. ამდენად, მათ მიიჩნიათ, რომ პროცესის დანიშვნა მხოლოდ საქმის გაჭიანურების მიზნით შეიძლება გადაიდოს.

მაია ალუდაური,
საინფორმის კორესპონდენტი.

ვიცოდეთ ჩვენი ისტორია

გორიჯვარი

გორიჯვარს მუდამ აღტაცებაში მოჰყავდა მნახველი. ქალაქ გორიდ სამხრეთ-დასავლეთით, იქ, სადაც ლიახვი შეერთვის მტკვარს — ბოძივით აღმართული მწვერვალიდან მზიან ამინდში მთელი შიდა ქართლის ულამაზესი პეიზაჟი მოჩანს.

ეკლესიის მდებარეობის გამო დაერქვა სწორედ ამ ადგილს გორიჯვარი.

იგი გახლდათ არა მარტო საკულტო, არამედ, სათავდაცვო ნაგებობაც. შიშიანობის დროს გორიჯვრის საკმაოდ ვრცელი ციხე-გალავანი მღვდელთმსახურთათვის საიმედო თავშესაფარს წარმოადგენდა. გორიჯვრის ეკლესიის აშენების დრო უცნობია. ხალხური გადმოცემა ტაძრის აშენებას თამარ მეფეს მიაწერს.

მე-16 საუკუნეში გორიჯვარს ფლობდა ქართლის ერთ-ერთი უმძლავრესი ფეოდალი ბარძიმ ამილახვარი. გორიჯვრის ქვის ეკლესია მრავალგზის გადამწვარა და გაძარცულა, შემდეგ კი ის და ციხე-გალავანი ძირფესვიანად გაუნადგურებია 1920 წლის ცნობილ მიწისძვრას.

მიწისძვრისაგან დანგრეული ტაძრის კედლები სავალალოდ გამოიყურებოდა. გადიოდა ხანი, ნანგრევთა გროვა აღარავის აგონდებოდა.

გორიჯვრის ეკლესია წმინდა გიორგის სახელობაზე გახლდათ აშენებული. გორიჯვარს ავადმყოფთა განკურნების სასწაულმოქმედ ძალას მიაწერდნენ. 1987 წელს ძეგლთა დაცვის მთავარმა სამმართველომ დასვა საკითხი მისი რესტავრაციისა, აღდგენა უნდა დაწყებულიყო უძველესი ორსაფეხურიანი გალავნიდან, რაც წარმატებით დაგვირგვინდა. შემდეგი საკითხი კი გახლდათ დანგრეული ეკლესიის აღდგენა. იგი დაიწყო 1989 წელს. მისი პროექტი შეიმუშავა ახალგაზრდა არქიტექტორმა გია ციციშვილმა, სამრეკლოს და კეთილმოწყობის პროექტის ავტორია ვახტანგ აბრამიშვილი.

ძეგლზე შერჩენილი არქიტექტურული დეტალები საშუალებას აძლევდა პროექტის ავტორებს მთლიანად შეემუშავებინათ აღდგენის სახე. და აი გორიჯვრის ხუროთმოძღვრული კომპლექსის რესტავრაცია ძირითადად დამთავრდა.

გორიჯვარს დიდი ენერგია მიახმარა სამუშაოთა მწარმოებელმა შოთა ბაბიაშვილმა და გორის მკვიდრმა ვაჟა აბრამიშვილმა.

აღდგა სამრეკლო, აღდგა დარბაზული ტაძარი, თუმცა ჯერ კიდევ, საჭიროა ყურადღება მიექცეს გათხრების შემდეგაც აღმოჩენილ ციხის უძველეს მარანს. საჭიროა ეკლესიის ტერიტორიის საბოლოო ეაწმენდა და იმედია ამასაც მშენებელი რესტავრატორები წარმატებით გაართმევენ თავს.

თამაზ ქიქავა
ავტორის ფოტო.

საერთაშორისო მოსაზრება

უკრაინამ და მოლდავეთმა ხელი მოაწერეს ახალ ეკონომიკურ ხელშეკრულებას. დოკუმენტის ხელმოწერა ჩატარდა კრემლში ამ რესპუბლიკების პრემიერ-მინისტრების ფოკინისა და მურავსკის მიერ საბჭოთა პრეზიდენტის გორბაჩოვის თანდასწრებით. ცერემონიას ესწრებოდნენ აგრეთვე საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მართვის კომიტეტის თავმჯდომარე სილაევი, უკრაინის პარლამენტის თავმჯდომარე კრავჩუკი და რუსეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ხასბულატოვი.

ფოკინმა და მურავსკიმ განაცხადეს, რომ მათ აქვთ რიგი შენიშვნები ამ ხელშეკრულების მიმართ. ოთხშაბათს უკრაინის უზენაესმა საბჭომ ფოკინს მიანიჭა უფლებამოსილება, ხელი მოეწერა ამ შეთანხმებისათვის, მხოლოდ მისი შემდგომი რატიფიკაციით რესპუბლიკის პარლამენტში.

დოკუმენტის ხელმოწერის შემდეგ მოლდავეთის პრემიერმა მურავსკიმ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა — „ჩვენ ეკონომიკური თანამეგობრობის მომხრე ვართ, მაგრამ ამ ეტაპზე არ ვაპირებთ რაიმე პოლიტიკურ და სამხედრო კავშირებში შესვლას“.

უფრო ადრე რესპუბლიკის პრეზიდენტმა სნეგურამ აღნიშნა, რომ მოლდავეთი არ ჩქარობდა შეთანხმების ხელმოწერას, რადგან სურდა დარწმუნებულიყო, რომ ეს ეკონომიკური ხელშეკრულება არ წარმოადგენს პოლიტიკურ ხაფანგს საბჭოთა იმპერიის აღდგენის მიზნით.

აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა დადებითი ნაბიჯი უწოდა უკრაინისა და მოლდავეთის გადაწყვეტილებას ეკონომიკური ხელშეკრულების ხელმოწერის თაობაზე. აშშ მიიჩნევს, —თქვა მან, რომ,—ეკონომიკური თანამშრომლობა რესპუბლიკებს შორის ხელს შეუწყობს საბაზრო ეკონომიკაზე წარმატებით გადასვლას.

●

აზერბაიჯანის პრემიერ-მინისტრმა ჰასანოვმა განაცხადა, რომ არ ეთანხმება რესპუბლიკის პრეზიდენტის მუტალიბოვის პოზიციას, რომელიც ეკონომიკური ხელშეკრულების ხელმოწერის მომხრეა. რუსეთის საინფორმაციო სააგენტოს მოჰყავს ჰასანოვის სიტყვები იმის შესახებ, რომ შესაძლო ალტერნატივას აზერბაიჯანისათვის წარმოადგენს ორმხრივი შეთანხმების ხელმოწერა ცალ-ცალკე რესპუბლიკასთან.

●

როგორც რადიო „თავისუფლება“ იუწყება, რუსეთსა და უკრაინას შორის ორმხრივი ხელშეკრულების ხელმოწერის ცერემონიაზე მოსკოვში ბორის ელცინმა გააკეთა შემდეგი განცხადება: „რუსეთი გარანტიას იძლევა, რომ გადაიხდის თავის წილს საბჭოთა კავშირის საგარეო ვალიდან, ასევე თავისთავზე იღებს იმ ოთხი რესპუბლიკის წილის გადახდას, რომლებმაც უარი თქვეს ამაში მონაწილეობაზე“. „თავისუფლების“ კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ამ ოთხ რესპუბლიკაში იგულისხმება ბალტიის ქვეყნები და საქართველო. თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება ამ საკითხზე უნდა მიიღოს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საბჭომ 14 ნოემბერს.

●

რუსეთის პრეზიდენტმა ბ. ელცინმა ხელი მოაწერა ბრძანებას რესპუბლიკის მთავრობის რეორგანიზაციის შესახებ ეკონომიკური რეფორმის განხორციელების პერიოდში. ბრძანების თანახმად, რუსეთის პრეზიდენტი თვითონ ჩაუდგება სათავეში მთავრობას, ასევე მეთვალყურეობას გაუწევს თავდაცვის და შინაგან საქმეთა სამინისტროებს და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს. ეკონომიკური რეფორმის განხორციელების პერიოდში რუსეთის მთავრობის შემადგენლობაში შევლენ ასევე მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეები, რუსეთის შემადგენლობაში შემავალი რესპუბლიკების პრეზიდენტები და რუსეთის ფედერაციის მინისტრები.

●

რადიო „თავისუფლების“ მოსკოველი კორესპონდენტის ა. ბაბიცკის სენსაციური ინფორმაციის თანახმად, გორბაჩოვსა და ელცინს შორის მიღწეულია შეთანხმება საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა ახალი მინისტრის დანიშვნის შესახებ. ბორის პანკინი ამ პოსტზე უნდა შეცვალოს ედუარდ შევარდნაძემ.

●

„ამერიკის ხმა“ იუწყება, რომ პრეზიდენტი ბუში მალე გამოაცხადებს საბჭოთა კავშირისათვის 1 მილიარდი დოლარის სასურსათო დახმარების, ასევე რამდენიმე ასეული მილიონი დოლარის ჰუმანიტარული დახმარების გაწევის შესახებ.

ირინა თევდორაშვილი

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესეც

74 წელი გავიდა კომუნისტური გადატრიალებიდან. რა ბოგვიტანა ამ წლებმა, დღეს უველამ კარგად იცის. ამის დავიწყება არ შეიძლება. ესეც ჩვენი ისტორიაა. ისიც უნდა გვახსოვდეს, როგორი „უნთუზიაზმით“ ვზეიმობდით, როგორი „მონდომებით“ მივიდოდით წითელი დროშებით ხელში 7 ნოემბრის პარადზე. ვაბიჯებდით ზეიმირო კაზეთებსა თუ ცენტრალურ ტელევიზიას თვალს ვინც საკავშირო კაზეთებს, რომ სოციალიზმის ბანერებს, დაგვერწმუნენს, ადევნებს, დაგვერწმუნენს, (ოპაციონერობის ნათელი მომავლის!) ენერგიულად ცოცხლობს (ოპაციონერობის ნათელი მომავლისა და კომუნიზმის (რეანიმაციასაც ენერგიულად ცდილობენ ერთგული ლენინელები. როგორც ამბობენ, მემარჯვენე ენთუზიასტები არცთუ პენელები. ეროვნულ ლენინისტურად ორიან გაწყვეტილნი.

საბჭოთა კავშირის ავადმყოფობის ისტორია

გვარი, სახელი, მამის სახელი — **საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი.**

სქესი — **გერმაფროდიტი.**

დაბადების წელი და თვე — **1917 წლის ოქტომბერი (უფრო ზუსტად, 1921 წლის 30 დეკემბერი).**

დაბადების ადგილი **პეტროგრადი, ნევის პროსპექტი.**

ეროვნება **უბადალებული ინტერნაციონალისტი.**

სოციალური წარმოშობა — **ლუმპენპროლეტარი.**

განათლება — **ათეისტური.**

სპეციალობა — **ინტერვენცია, ანექსია, ოკუპაცია.**

თანდაყოლილი დაავადებები — **გენოციდი, წითელი ტეროორი, რეპრესიები.**

მშობლები — **კარლ მარქსი, ფრიდრიხ ენგელსი, ვლ. ლენინი და მისთანები.**

დაიბადა უდღეური, საკმაოდ განუვითარებელი, მორფოლოგიურად და ფუნქციურად ჩამოუყალიბებელი.

დაავადებულის მშობიარობის პროცესი, ისტორიული წყაროებისა და ხალხის მეხსიერებაში შემორჩენილი ცხობიერების თანახმად, მოულოდნელი და მეტად რთული იყო. ახალშობილს ნერვიული ფსიქოზი მომეხტალურად განუვითარდა.

ახალშობილს საკვებით ხშირი მოწამვლის — ინტოქსიკაციის შედეგად განუვითარდა დაავადების ისეთმ მძიმე ფორმა, როგორიცაა ლოზუნგომანიობა, გამოვლინებებით: პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა შეერთდით; კომპარტია — ეპოქის გონება, სინდისი და პატიოსნება; გაუმარჯოს სსრკ ხალხთა ურღვევ მეგობრობას; სკკპ — სიტყვისა და საქმის ერთიანობის პარტიაა; დიდება შრომას; დიდება სკკპ და სხვა.

ახალშობილი ბავშვის სხეულის პერიფერიულ ნაწილებში ნივთიერებათა ცვლისა და სისხლის მიმოქცევის არასწორი მოძრაობის შედეგად, ზრდის პროცესი მეტად სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა. პერიოდულად კი წარმოიქმნებოდა წანაზარდები აღმოსავლეთ ევროპის, აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიისა და ამერიკის ქვეყნების ძალად გაწითლების და მათი სოციალისტურ რელსებზე გადაყვანის მიზნით.

ავადმყოფის ჯანმრთელობაზე და მის საერთო მდგომარეობაზე ცუდ და არასასიამოვნო გუნებაგანწყობილებას სტოვებს გაფიცვები, განსაკუთრებით კი სხეულის ზოგიერთი ნაწილის ანუ ურჩი რესპუბლიკების სწრაფვა და მიდრეკილება სრულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ დამოუკიდებლობისაკენ.

დიაგნოზი: **კომუნიზმის იდეებით შენიღბული რუსული დიდმპყრობელური შოვინიზმი.**

მკურნალობის კურსი: **საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სხეულის ცალკეული ნაწილებიდ ანუ ურჩი რესპუბლიკების თვითგამორკვევა თვითგამოყოფამდე.**

ტარიელ ჯიბაძე

ROGORC ITITARDEBODA

საბჭოთა კავშირის ემბლემა, მუშებისა და გლეხთა ურღვევობა რომ უნდა განესახიერებინა, პირველად რსფსრ-ს დროშაზე 1918 წელს, 1923 წლიდან კი — სსრკ-ს გერბზე. 1918 წელს, 1923 წლიდან ეს ბოლო ვარიანტი ეკუთვნის. ნახატზეა ასახული. მისი შექმნის ლოგიკური „განვითარების“ დაბეჭდვა, ის სსრკ-ს და მისი გერბის ბოლო ვარიანტია.

RCHENA

ISTORIAA

ახალი თაობა ახალ სპეციალობებს ირჩევს

— თბილისის ტექნოლოგიური ინსტიტუტი ამზადებს კადრებს ქართველი საქართველოსათვის.

პირველად საქართველოში 1991-92 სასწავლო წლისათვის ცხადდება მიღება რესპუბლიკისათვის სრულიად ახალ სპეციალობებზე (დღის განყოფილება):

1.ხორცისა და ხორცის პროდუქტების ტექნოლოგია; 2.რძისა და რძის პროდუქტების ტექნოლოგია; 3.ბადულარ წარმოებათა ტექნოლოგია:

ა) ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების წარმოების ტექნოლოგია; ბ) სპირტისა და ლიქიორ-არაყის წარმოების ტექნოლოგია;

ცხიმების ტექნოლოგია:

ა) მცენარეული ცხიმების მიღების ტექნოლოგია; ბ) ცხიმების გადამუშავების ტექნოლოგია; გ) ხინოეტიკური ცხიმებისა და ხარცხი საშუალებების ტექნოლოგია; დ) ეთერზეთებისა და ხურნელოვანი ხინოეტიკური საშუალებების ტექნოლოგია.

— ჩარიცხვა კონკურსის საფუძველზე; დაიშვებიან საშუალო და საშუალო სპეციალური განათლების მქონე ახალგაზრდები; სწავლების ხანგრძლივობაა 4,5 წელიწადი. სწავლების საფასური — 7 000 მან. წელიწადში, როგორც ნაღდად, ისე გადარიცხვით.

აბიტურიენტებს ეძლევათ შანსი დაეუფლონ ჩვენს ქვეყანაში აქამდე სრულიად უცნობ ტექნოლოგიებს, რომლებიც საშუალებას მოგვცემენ ვაწარმოოთ ეკოლოგიურად სუფთა, მაღალხარისხოვანი პროდუქტები.

ხაწარმოო და ხადიპლომო პროექტიკან წარჩინებული სტუდენტები გაიგზავნიან ავსტრიის, ჩეხეთ-სლოვაკიის, გერმანიის ხაწარმოებში.

გამოცდები ყველა სპეციალობაზე ჩატარდება შემდეგ საგნებში: **მათემატიკა** (წერა); **ქიმია** (წერა); **ქართული ენა და ლიტერატურა** (წერა).

საბუთების მიღება 1-დან 20 ნოემბრამდე, 10-დან 17 საათამდე.

გამოცდები დაიწყება 22 ნოემბრიდან. სწავლა იწყება 2 დეკემბერს.

განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: განათლების მოწმობა (დედანი), სამედიცინო ცნობა (ფორმა № 086), 4 ფოტოსურათი (3X4), ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან. პასპორტსა და სამხედრო ბილეთს აბიტურიენტი წარმოადგენს პირადად.

რაიონიდან ჩამოსულნი უზრუნველყოფილი იქნებიან უფასო ხაერთო ხაცხოვრებლით.

წარჩინებულ სტუდენტებს დაენიშნებათ მაღალი სტიპენდია.

ინსტიტუტის კურსდამთავრებულებს ხახელმწიფო-საგამოცდო კომისიის გადაწყვეტილებით, განათლების სამინისტრო და თბილისის ტექნოლოგიური ინსტიტუტი ანიჭებენ „ინჟინერ-ტექნოლოგის“ კვალიფიკაციას, რაზეც გაიცემა შესაბამისი დიპლომი.

ინსტიტუტის მისამართია: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის პრ. № 4. (მტკვრის მარჯვენა სანაპირო, გაგარინის ქუჩის გაგრძელება), ტელ: 37-39-69. თბილისის ინდუსტრიულ-პედაგოგიური ტექნიკუმის შენობა,

ტრანსპორტი: კოლმეურნეობის მოედნიდან — ავტ. № 60, უნივერსიტეტის მაღ. კორპუსიდან — ავტ. № 58; ვაკიდან — ავტ. № 27.

ინსტიტუტის ადმინისტრაცია გთხოვთ დროულად ჩააბაროთ სწორად გაფორმებული საბუთები და გისურვებთ წარმატებას!

თბილისის ტექნოლოგიური ინსტიტუტი
სარეკლამო სააგენტო „ში-ში-ნო“.

განცხადებები, რეკლამები

საქართველოს ეროვნული კონგრესის სესია

1991 წლის 12 ნოემბერს, 11 საათზე გაიმართება საქართველოს ეროვნული კონგრესის სესია

დღის წესრიგი:

1. საქართველოში შექმნილი მდგომარეობის პოლიტიკური შეფასება.
2. ეროვნული კონგრესის პრეზიდიუმის ანგარიში.
3. რეზოლუციებისა და დეკლარაციების მიღება.

კონგრესის წევრთა და სტუმრების შეკრება კინოს სახლთან, 10 საათზე.

საქართველოს ეროვნული კონგრესის პრეზიდიუმი.

საქციო უნივერსალური ბანკი „იბერიაბანკი“

აცნობებს მოსახლეობას, რომ 4 ნოემბრიდან დაიწყო ნაღდი ანგარიშსწორებით უცხოური კონვერტირებადი ვალუტის შესყიდვა. 1 ამერიკული დოლარის ფასი — 47 მანეთი. 1 გერმანული მარკის 28 მანეთი, 1 ინგლისური ფუტი სტერლინგის 82 მანეთი. მისამართი: თბილისი; ბროსეს ქ. № 1, ტელ. 98-70-50.

თუ გსურთ საკუთარ სახლში იხილოთ მშვენიერება

გამოიწერეთ გაზეთი

„პეგასი“

„პეგასი“ ერთი წლით 12 მანეთი
და 60 კაპიკი ღირს

ჩვენი ინდექსია: 66419.

საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირი, საქტელერადიოს დეპარტამენტი, მუსიკალური თეატრი-სტუდია „ჯორჯია“, საქართველოს ინვალიდთა ასოციაცია.

დიდ საესტრადო ზეიმზე

„მე და ჩემი ლაშქარი“

გიწვევთ საქართველოს დამსახურებული არტისტი

როგერტ ბარძიმაშვილი

მონაწილეობენ: ნანი ბრეგვაძე და ბუბა კოკაბიძე, ანსამბლ „ორერას“ წევრები, „ანსამბლი 75“ (ძველი შემადგენლობა), ანსამბლი „ჯორჯია“ (ახალი შემადგენლობა), ლევან ლაზარიშვილი და პროგრამის უცნობი სტუმარი.

მოეწყობა აუქციონი, სადაც გაიყიდება იმპორტული საქონელი. აუქციონს ატარებს **ნუგზარ ჯუღელი.**

კონცერტები გაიმართება 9 და 10 ნოემბერს.

ორგანიზაციებმა, რომელთაც სურთ ბილეთების წინასწარ შეძენა, მიაკითხონ საკონცერტო დარბაზის დირექციას.

განცხადება

სრულიად საქართველოს ღვთისშვილთა კავშირთან არსებული ქართული ხალხური ცეკვების შემსწავლელი 4-წლიანი სტუდია აცხადებს მიღებას 1991-1992 სასწავლო წლისათვის. სტუდიაში ჩაირიცხებიან 6-12 წლის მოსწავლეები. აგრეთვე, კლუბი „მოწამეთა“ აცხადებს კონკურსს ბავშვთა და მოზარდთა ანსამბლებში ჩარიცხვის მსურველებისათვის. მიღება და კონკურსი ჩატარდება 11-13-14-18 ნოემბერს, დღის 2 საათზე და საღამოს 6 საათზე. ამავე დღეებში იწარმოებს ჩარიცხვა უცხო ენებისა და გიტარაზე შემსწავლელ კურსებზე.

ჩვენი მისამართია: ალ. ყაზბეგის გამზირი 47. (ყოფილი პავლოვის ქუჩა), მეტრო „დელისი“, ჰიდროსაპროექტო ინსტიტუტის საკტო დარბაზში.

გამოიწერეთ ახალი გაზეთი „კახეთი“

მიმდინარეობს ხელმოწერა სრულიად საქართველოს საზოგადოება „კახეთი“-ს გაზეთზე — „კახეთი“, იგი გამოდის თვეში ერთჯერ 8 გვერდზე.

გაზეთი დიდ დახმარებას გაგიწევთ პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური საკითხების გაშუქებაში, თანამედროვე ბიზნესის, კომერციული საქმიანობის შესწავლაში, საზღვარგარეთის და სამამულო მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების ათვისებაში.

გაზეთი ყოველმხრივ შეუწყობს ხელს ქართული ძირძველი ტრადიციების, ფოლკლორისა და ხალხური შემოქმედების შესწავლის, აღდგენის და პოპულარიზაციის საქმეს; სისტემატურად გააშუქებს სოფლის მეურნეობის ახლებურად გაძღოლის, მიწის რეფორმის რეალიზაციის, ფერმერული მეურნეობების შექმნის მეცნიერულ რეკომენდაციებს, სასაზღვრო და თანამედროვე მედიცინის მიღწევებს, კულტურის, ფიზკულტურის და სპორტის საკითხებს.

ერთი წლით გაზეთის ხელმოწერის ფასია 6 მანეთი.

გაზეთის ინდექსია: 66595.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაკარგული საუნჯე

ორიოდე სიტყვა მ. ჩიბურდანიძე — სე ცზიუნის მატჩის შედეგებზე

ცნობილი ჭეშმარიტებაა: ჩემპიონის ტიტულის დაცვა უფრო ძნელია, ვიდრე მისი მოპოვება. მსოფლიო პირველობის ისტორიაში ტიტულის დაბრუნების შემთხვევები თითებზე დაითვლება. იგი თითოჯერ შეძლეს ელისაბედ ბიკოვამ და ალექსანდრე ალიოხინმა, ორჯერ — მიხეილ ბოტვინიკმა. ეს არის და ეს. ამიტომ ჩემპიონი თავიდანვე ისე უნდა განეწყოს, თითქოს პირველად იბრძვის ჩემპიონის გვირგვინისთვის. ეს რომ შეძლოს, საგულდაგულოდ უნდა მოემზადოს თავგამოდებული პაექრობისთვის, ხშირად მიიღოს მონაწილეობა უძლიერესი შემადგენლობის ტურნირებში, იბრძოლოს მხოლოდ პირველი ადგილისთვის, როგორც ამას გარი კასპაროვი აკეთებს. ყოველივე ეს არ სჭირდება პრეტენდენტობის მაძიებელს, რადგან იგი ბრძოლის პროცესში, ზონალურ და საზონთშორისო ტურნირებში, პრეტენდენტთა მატჩ-ტურნირში თავისთავად ემზადება ჩემპიონთან შესახვედრად. მას ყველა შეჯიბრებაში სჭირდება დიდი ძალისხმევა, გადამწყვეტ მომენტში რისკიანი თამაში, პრეტენდენტი რომ გახდეს, სრულყოს ოსტატობა, მოემზადოს ბრძოლისთვის მატჩის ექსტრემალურ პირობებში.

ამ თვალსაზრისით რომ გადავხედოთ მაია ჩიბურდანიძესა და სე ცზიუნის მატჩს, მრავალ კითხვას ნათელი მოეფინება.

ვიდრე მატჩის შედეგების ანალიზს შევუდგებოდეთ, შეგახსენებთ მის მსვლელობას.

ჩიბურდანიძე — სე ცზიუნი: 0,5:0,5, 1:1, 1:2, 2:2, 3:2, 3,5:2,5, 4:3, 4:4, 4,5:4,5, 5:5, 5:6, 5,5:6,5, 5,5:7,5, 6:8, 6,5:8,5 (+2—4=9).

როგორ არ ჰგავს ეს „კარდიოგრამა“ მაიას მატჩებს ნონა გაფრინდაშვილთან, ნანა ალექსანდრიასთან, ირინა ლევიტინასთან, ელენა ახმილოვსკაიასთან და ნანა იოსელიანთან. განსაკუთრებით კი ფინიშზე.

ფილიპინებზე გამგზავრების წინ ვესაუბრე მაიას. არ დაგიმალავთ, ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ იგი არ იყო მზად ძნელი, ნერვული ორთაბრძოლისთვის. მისი თქმით, არ ჰქონდა ნანახი სე ცზიუნის თებერვლის (ალისა მარიჩთან მატჩის) შემდეგ ნათამაშები პარტიები, არ იცოდა პრეტენდენტის ბოლოდროინდელი გამოსვლების შედეგები, მისი მწვრთნელების ვინაობა, არც ის, თუ ვინ იქნებოდა მატჩის მთავარი არბიტრი, სააპელაციო ჟიურის თავმჯდომარე. ყოველივე ამან გულში შიში დამისადგურა. ეს იმიტომ, რომ მოწმე ვარ თუ ადრე როგორი გულმოდგინებით ემზადებოდა ხოლმე მაია საბრძოლველად, როგორი გატაცებით სწავლობდა მეტოქის შემოქმედებას, თამაშის ავ-კარგს. მაშინ ყველაფერი იცოდა, რაც მომავალ მატჩს შეეხებოდა. ამჯერად ეს ვერ დავინახე მაიას მომზადებაში. ამიტომ, დიდად გამაკვირვა საქართველოს ტელევიზიით მისი მწვრთნელის, დიდოსტატ გენადი კუზმინის განცხადებამ: მაია კარგადაა მომზადებული და იგი მატჩს მოიგებესო.

მატჩის მსვლელობისას, როგორც სარკეში, გამოჩნდა მაიას თამაშის ხარვეზები, მოუმზადებლობა დიდი ბრძოლისთვის.

მატჩი რომ დაიწყო, მეორე პარტიაში მაია სწრაფად (ცამეტ სვლაში) დაუზავდა მეტოქეს. მსგავსი რამ არ მომხდარა მსოფლიო პირველობის მატჩებში. ყაიმმა კი არ გამაკვირვა, არამედ სტარტზე ჩემპიონის მშვიდობისმოყვარეობამ, მწვავე ბრძოლისგან თავის არიდებამ.

მესამე პარტიაში მაია შეცდა იერიშის მოგერიებისას და დამარცხდა. ეს ვის არ მოსვლია, მით უმეტეს, რომ მაია საერთოდ ძმიმედ შედის ფორმაში. ჩანს, იწყინა ჩემპიონმა, მოიკრიბა ძალ-ღონე და მომდევნო ორ პარტიაში პირდაპირ გაანადგურა ჩინელი დიდოსტატი. მისი გამარჯვება იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ სე ცზიუნის მრჩევლებმა „ტაიმაუტი“ ააღებინეს თავის შეგირდს. ამ წარმატებამ იმედი ჩაგვისახა ჩემპიონის ქომაგებს. მაგრამ თამაში რომ განახლდა, მაიამ ერთი პარტიაც ვერ მოიგო.

რა მოხდა, რამ დააკარგვინა „დარტყმის ძალა“, შესამჩნევად მოადუნა მისი თამაში და მან ვერ შეინარჩუნა უპირატესობა, წააგო მერვე პარტია და ანგარიშიც გათანაბრდა? ჩანს იგი დაიღალა. იქნებ სე ცზიუნის შეუპოვრობამ რწმენა შეურყია.

კრიტიკული სიტუაცია შეიქმნა ფინიშის ზღურბლზე, ესე იგი მეათე პარტიის შემდეგ (5:5). დასკვნით ექვს პარტიაში უნდა გადაწყვეტილიყო ჩემპიონობის ბედი. სწორედ ამ დროს იყო საჭირო ძალთა მობილიზება, შეუპოვარი თამაში. მაიამ ვერ გაართვა თავი სიძნელეებს, ვერ მოერია საკუთარ თავს, თუმცა, უნდა ვიფიქროთ, მოემზადა დასკვნითი შეხვედრებისთვის. მან წააგო მეთერთმეტე, მერე მეცამეტე პარტია და უმძიმესი ამოცანის წინაშე აღმოჩნდა. დასკვნით სამ პარტიაში 2,5 ქულა უნდა დაეგროვებინა, რომ კვლავ ჩემპიონი ყოფილიყო. მან იმედიანად დაიწყო მეთოთხმეტე პარტია, პერსპექტიული პოზიციაც მიიღო, მაგრამ რთულ ენდშპილში გულსატკენი შეცდომა მოუვიდა და უფიგურაოდ დარჩა (ორ პაიკში). მართალია, შემდეგ ყაიმს მიაღწია, მაგრამ ცხადი იყო, რომ ჭადრაკის ქალღმერთმა კაისამ მას ზურგი შეაქცია, იგი ვეღარ შემოაბრუნებდა მატჩის ჩარხს.

აქვე უნდა ითქვას, რომ სე ცზიუნი შესაშური მონდომებით იბრძოდა. მატჩისწინა პრესკონფერენციაზე მან თქვა: მე და მაიას გამარჯვების თანაბარი შანსი გვაქვსო. ამიტომ ცდილობდა მაქსიმალურად გამოეყენებინა თავისი შესაძლებლობები. გამოიყენა კიდეც, მით უმეტეს, რომ მაია არ იყო ის მაია, მსოფლიო რომ იცობდა.

მაიას წარუმატებელი ფინიში (5-დან 1,5 ქულა) არ უნდა იყოს მოულოდნელი, თუ თვალს გადავავლებთ ბოლო სამი წლის მახვილზე ფინიშზე მისი თამაშის ტაქტიკას. იგი ხშირად არიდებდა თავს ბრძოლას გადამწყვეტ შეხვედრებში. მაგალითად, 1988 და 1990 წლების ქალთა საჭადრაკო ოლიმპიადებზე, სადაც ის საბჭოთა ნაკრებს თავკაცობდა, დიდი სპორტული მნიშვნელობის მატჩებში, მას როგორც ლიდერს, თანაგუნდელებისთვის გამარჯვებისკენ სწრაფვის მაგალითი უნდა ეჩვენებინა. იგი კი ორივე შემთხვევაში ო�იოდე სვლაში დაუზავდა მეტოქეს, როცა დაფა ჯერ კიდევ სავსე იყო ფიგურებით. რა თქმა უნდა, ნაკრებ დაზარალდა და საბოლოოდ მხოლოდ ვერცხლის მედლები დაიმსახურა. მაიას კიდეც უსაყვედურა გარი კასპაროვმა, ჩემპიონს მეტი მოეთხოვებაო.

სხვათა შორის, 1990 წლის ოლიმპიადაზე ნოვი-სადში (იუგოსლავია) მაიამ თავი აარიდა შეხვედრას ჩინეთის ნაკრებთან, რომლის ლიდერი პრეტენდენტობის კანდიდატი სე ცზიუნი იყო. ეს მაშინ ყველამ შეამჩნია. ამის გამო ერთმა ჩინელმა ჟურნალისტმა მაია დამოძღვრა ასეთი ჩინური ანდაზით: „ვისაც ვეფხვის ბოკვერის მოპარვა სურს, უნდა გაბედოს ვეფხვის ბუნაგში შეძრომა“. მართლაც, ოლიმპიადაზე მაია სე ცზიუნს რომ შეხვედროდა, ვინ იცის, იქნებ სხვა სტრატეგია აერჩია მანილის მატჩში.

კიდევ ბევრის თქმა შეიძლება მატჩის ირგვლივ, მით უმეტეს მაშინ, როცა ყველა გათამაშებული პარტია გამოქვეყნდება („სოვეტსკი სპორტში“ მხოლოდ წაგებულ-მოგებული პარტიები იბეჭდებოდა), მაგრამ უფრო საინტერესო იქნება თავად მაიას ნაამბობი, მისი შეფასებები. მაშინ მეტი სინათლე მოეფინება „მანილის ტრაგედიას“.

თენგიზ ჭიორბაძე,
საერთაშორისო არბიტრი.

ავღანეთის ვეტერანთა საქართველოს კავშირში

ამ დღეებში... ამერიკის შეერთებული შტატებიდან ჩვენს დედაქალაქს ესტუმრნენ კორპორაციის „სპორქს თრეიდინგ“ თავმჯდომარე, ვიეტნამის ომის მონაწილე, ბატონი დელბერ სფორქსი და ახალგაზრდა ბიზნესმენი ჯეფრი ლიბერთი.

ბატონ დელბერ სფორქსს შეხვედრები და საქმიანი საუბრები ჰქონდა საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის პირველ მოადგილესთან, საგარეო საქმეთა მინისტრთან, ბატონ მურმან ობანიძესთან, თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილესთან, ავღანეთის ვეტერანთა საქართველოს კავშირის თავმჯდომარესთან, ბატონ ნოდარ გიორგაძესთან, ჭარხნის „თბილხელსაწყოს“ გენერალურ დირექტორთან. ბატონ თამაზ ბეჟანიშვილთან, სხვა მსხვილ საწარმოთა ხელმძღვანელებთან. სტუმრებმა მასპინძლებს გააცნეს ამერიკული ფირმების კონკრეტული წინადადებები. რაც შეეხება ახლანდელი მოლაპარაკების შედეგებს, გადაწყდა, რომ კორპორაცია „სფორქს თრეიდინგ“ და ჭარხანა „თბილხელსაწყო“ უკვე მომდევნო წლის დასაწყისიდან დაიწყებენ ერთობლივი ჰაერის და წყლის ფილტრების სერიულ წარმოებას.

●

ავღანეთის ვეტერანთა საქართველოს კავშირში შედგა ავღანეთის ომში დაღუპულთა ოჯახების წევრების (ქ. თბილისში მცხოვრებთა) შეხვედრა კავშირის გამგეობასთან.

შეკრებილთ სიტყვით მიმართა გამგეობის თავმჯდომარემ ბატონმა ნ. გიორგაძემ. მან საქართველოში შექმნილი რთული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობის ფონზე მიმოიხილა ავღანეთის ომში დაღუპულთა ოჯახების პრობლემები. ილაპარაკა კავშირის შექმნიდან დღემდე გაწეულ მუშაობაზე, მომავლის გეგმებზე.

შაოსანმა დედამ ც. გეგეშიძემ ავღანეთის ომში დაღუპულთა დედების სახელით მადლობა გადაუხადა პირადად ბატონ ნოდარს, და საერთოდ, ავღანელთა კავშირს გულისხმიერებისათვის, მორალური თუ მატერიალური დახმარებისათვის და თანადგომა აღუთქვა მათ მიერ წამოწყებულ ყველა საქმეში.

დასასრულ, გამგეობის წევრებმა მადლობა მოახსენეს ყველას მობრძანებისათვის და თავის მხრიდან ყოველგვარ დახმარებას დაპირდნენ.

ავღანეთის ვეტერანთა საქართველოს კავშირის პრესცენტრი

„კათარზისი“ იწვევს ვისაც დახმარება სჭირდება

საქველმოქმედო ასოციაცია „კათარზისმა“ აღმაშენებლის პროსპექტზე გულმოწყალების სახლში გახსნა უფასო სასადილო და საპარიკმახერო.

ეს არის უდიდესი დასტური იმისა, რომ ჯერ კიდევ არ გამქრალა ადამიანურობა და მოყვასის სიყვარული.

იმ მოქალაქეების პენსია, რომელთაც ასოციაცია ემსახურება, 70 მანეთს არ აღემატება. ისე, რომ დღევანდელ ფასებში, შეიძლება გაუზგიადებლად ითქვას, სასადილო მათ გადარჩენის შანსს აძლევს. დიეტოლოგის დახმარებით საკვები სათანადო სამედიცინო ანკეტის მონაცემებს იქნება მისადაგებული.

ბედისგან დაჩაგრულ თბილისელ მოქალაქეთათვის აქ გახსნილია აგრეთვე უფასო აფთიაქი, სამედიცინო პუნქტი და საპარიკმახერო.

ასოციაცია „კათარზისს“ ამ საქველმოქმედო აქციის განხორციელებაში დაეხმარნენ სპეციალიზებული ტრესტის „ინტურისტ-მშენის“ მშენებლები.

სურათზე: საქველმოქმედო განყოფილების გამგე ნანა შავგულიძე მოხუც, გაჭირვებულ მოქალაქეთა შორის უფასოდ ანაწილებს პროდუქტებს;

გონდო დვალიშვილის ფოტოები.
(საქინფორმის ფოტოქრონიკა)

ძვირფასო პაციენტებო!

მკურნალობას გთავაზობთ ფიტოთერაპევტი ოზიელდა ჩერქეზიშვილი ფარმაკოპეაში არსებული მაღალეფექტური სამკურნალო მცენარეებით იგი წარმატებით მკურნალობს ისეთ დაავადებებს როგორიცაა — თმის ბუდობრივი ცვენა; ღრძილების დაავადება — პარადონტოზი; ქალური დაავადებანი, მასტოპათია; თირკმლების ანთება, ნაღვლის ბუშტის ანთება; კუჭნაწლავის დაავადებანი — კუჭის წყლული, გასტრიტი, კოლიტი; ბუასილი, პროსტატიტი.

მიღება 14—დან 20 საათამდე ყოველდღე გარდა შაბათ—კვირისა.

მისამართი: თბილისი, ნუკუბიძის პლატო, III მიკრორაიონი, III კვარტალი, V კორპუსი, VI სართული, 22 ბინა.

ვცვლი

ხუთსართულიანი სახლის მესამე სართულზე მდებარე კეთილმოწყობილ, გარემონტებულ, ერთოთახიან ბინას დუშეთიდან თბილისში. დაწვრილებითი ცნობებისათვის დარეკეთ 67-95-29 იკითხეთ ნინო.

ვყიდით

ფინური ტიპის ორ და ხუთ ოთახიან კოტეჯებს მანსარდით. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მოგვაკითხონ სასტუმრო ივერიის 107-ე ოთახში, მცირე საწარმო „არაგვი“ ტელეფონი 93-04-37.

ყურადღება!

საბჭოთა კავშირ-კანადა-ამერიკის წარმოების ერთობლივი ფირმის „MG“ („მისტერ გუდბაის“) საერთაშორისო უმაღლესი კატეგორიის სერთიფიკატის მფლობელი, არატრადიციული მეთოდებით მკურნალობის ოთხგზის დიპლომატირებული ექსტრასენსი **ეუჟენა რომანის ასული გედეშური** ძლიერი ბიოველის, დამუხტული წყლის, საგნების და აკუპრესურის (ჩინური წერტილოვანი მასაჟი) შერწყმით კურნავს შემდეგ დაავადებებს: ჰიპერტონიტს, შაკიკს, თავის ტკივილს, სახის სამწვერა ნერვის ანთებას, ინფიაზს, კოლიტს, მასტოპატიას, ძილის დარღვევებს, კუჭ-ნაწლავის დაავადებებს, ცისტიტს, ქოლეცისტიტს, ყურების ტკივილს, სმენის დაქვეითებას, დიაბეტს, იმპოტენციას, მარილების დაგროვებას, ოსტეოქონდროზს, სიდამწვრეს, ჭრილობის შეხორცებას და სხვა...

ექსტრასენსი ავადმყოფებს ღებულობს მისამართზე: თბილისი ვარკეთილის IV მიკ. რაიონი, II რიგი, მე-7 კორპ. ბინა № 5.

მეტროსადგურ ვარკეთილიდან № 8 სამარშრუტო ტაქსი. 16-დან 20 საათამდე. დასვენების დღე კვირა.

ღორძინება ერგო

გვერდის ხელმძღვანელობა აანდა საქველმოქმედო ასოციაცია „ღორძინებასა“ და ამავე ასოციაციის ფირმა „აბგო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაერთიანება „სიმის“ სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრი

— გაერთიანება „სიმის“ სამკურნალო პოფილაქტიკური ცენტრი გთავაზობთ მაღალკვალიფიციურ სამედიცინო დახმარებას.

— ცენტრი აღჭურვილია როგორც იმპორტული ასევე საკავშირო სამხედრო ქარხნების მიერ წარმოებული უახლესი საკვლევ-სადიაგნოსტიკო და სამკურნალო აპარატურით.

— სამედიცინო ცენტრის უროლოგიურ კაბინეტში შეგიძლიათ ჩაიტაროთ კვალიფიციური კონსულტაცია და უმკურნალოთ შარდ-სასქესო სისტემის მწვავე და ქრონიკულ დაავადებებს (ურეთრიტს, ცისტიტს, ქრ. პროსტატიტს) აღნიშნული დაავადებების მკურნალობა წარმოებს უახლესი მეთოდებით, ეფექტური პრეპარატების, ბიოსტიმულატორების, ელექტროსტიმულაციის ისეთი პროცედურა როგორიცაა პროსტატის მასაჟი, შეცვლილია მაღალეფექტური ელექტრომასაჟით და მაგნიტოლაზერით.

— სტომატოლოგიურ კაბინეტში უახლესი იმპორტული აპარატურის საშუალებით წარმოებს კბილის მკურნალობა, კბილის ამოღება და პროთეზირება, აგრეთვე დაპლომბვა საზღვარგარეთის (აშშ) მასალით, რომელიც საკმაოდ გამძლეა და დროთა განმავლობაში ფერს არ იცვლის. ბურღვა უმტკივნეულოა. აქვე მკურნალობენ პარადონტოზს, სტომატიტს, აწარმოებენ კბილების გაწმენდას და ქვების მოცილებას, აგრეთვე სხვადასხვა ფიზიოთერაპიულ პროცედურებს აღნიშნული დაავადებების სამკურნალოდ.

— სამკურნალო ცენტრს გააჩნია კარგად აღჭურვილი ფიზიოთერაპიული კაბინეტი. ექოსკოპი. როგორც ზოგადი, ასევე გულის გამოსაკვლევი.

— აქვე შეგიძლიათ ჩაიტაროთ სრულყოფილი ლაბორატორიული გამოკვლევები (სისხლის, შარდის, ბიოქიმიური ანალიზების, მიმართოთ აფოიაქს, სადაც სამკურნალო საშუალებათა მრავალფეროვანი არჩევანია.

— სამედიცინო ცენტრში მუშაობს მაღალკვალიფიციური სამედიცინო პერსონალი, რომელიც უახლესი აპარატურის დახმარებით ყველაფერს იღონებს თქვენი ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად.

— სემედიცინო ცენტრი მუშაობს ყოველდღე კვირის გარდა 10^{00}-დან — 20^{00} სთ-მდე.

მისამართი ინფორმაციისათვის: ვარკეიილი, მე-9 კვარტალი მე-3ª კორპუსი, კახეთის გზატკეცილზე, ჯავახეთის ქუჩის კუთხესთან. მეტრო სამგორიდან ავტობუსის მეორე გაჩერება. ტელ: 73-78-95.

ყურადღება

სამედიცინო პუნქტში სიახლეა — ამუშავდა რესპუბლიკაში ჯერჯერობით ერთადერთი სამედიცინო დეკომპრესის კაბინეტი.

მრავალფუნქციანი სამედიცინო დეკომპრესორი LOKAP–02. ეს არის აპარატი მართვის ელექტრული სისტემით და ავტომატიკით, რომელიც გამოიყენება შემდეგი მიმართულებით:

გასტიტების (სარძევე ჯირკვლის ანთება) პროფილაქტიკა და მკურნალობა;

რძის გამოწველა ლაქტაციის პერიოდში;

სარძევე ჯირკვლის კერტების კორექცია;

სარძევე ჯირკვლის ზომების მომატება (ზრდის სტიმულირება);

ქალის გენიტალის ქრ. ანთებითი პროცესების (რომელსაც თან სდევს აგრეთვე შეხორცებითი პროცესები) მკურნალობა;

ნაწლავების მასაჟი მუცლის წინა კედლიდან;

ლოკალური მასაჟი სხვადასხვა ხარისხის სიმსუქნის დროს სხეულის წონის დაკლების მიზნით.

კაბინეტი მუშაობს 2-დან 5 საათამდე. მიმდინარეობს წინასწარ ჩაწერა.

კონცერნ **„საქნავთობპროდუქტის“** რესპუბლიკურ საინფორმაციო-გამოთვლით ცენტრს ესაჭიროება 26 წლის ასაკის მბეჭდავი გოგონა (ქართულ ენაზე).

ცნობებისათვის დარეკეთ ტელ. 36-16-87

დათო

იყიდება სამნივთიანი არაბული ავეჯი. მუქი მწვანე ხავერდი. ავჭალის გზატკეცილი 75.ბ. 27. ვარდანაშვილი რუსიკო — 5სთ. შემდეგ.

ვიყიდი

5 ან 10-ლიტრიან პლასტმასის ჭურჭელს დიდი რაოდენობით

ტელ: 62-80-72

იყიდება რუმინული ავეჯი „სტენკა ჟელაია“

დარეკეთ

96-75-15

დიანა

ვყიდი დესაუს და **კობალტის სერვიზს** 12 კაცზე.

დარეკეთ **38-12-85**

გულიკო

პირველად საქართველოში ფირმა „ტს“-ი

გიწვევთ სამთო-სათხილამურო სპორტის მოყვარულებს და არა მარტო მათ ორკვირიან მიმზიდველ მოგზაურობაში. ჩეხეთ-სლოვაკეთის საქვეყნოდ ცნობილი კურორტი ბუბლავა 14 დღის განმავლობაში 4.XII—19.XII თქვენს განკარგულებაში იქნება. მოგეცემათ შესაძლებლობა გაეცნოთ ქალაქებს პრაღა, კარლოვი ვარი, მარიანსკე ლაზნე, ეწვიოთ კაბარეს ეროტიული წარმოდგენებით, ლუდის ქარხანას და შეიძინოთ საჯონელი ხელმისაწვდომ ფასებში.

კურორტზე შესაძლებლობა გექნებათ დაისვენოთ საუნაში, ამერიკულ დანსინგ-კლუბში, ლუდის ბარებსა და რესტორნებში.

სამთო-სათხილამურო სპორტის მოყვარულებს ვაცნობებთ, რომ შეგიძლიათ გაქირავებაში აიღოთ ყველა მარკის თხილამურები, ჯოხები, ფეხსაცმელები, სნოუბორდები, სნოუტიუბები. თქვენს განკარგულებაშია საბაგირო გზები ღამის განათებით და ტრასები ყველა დონის მოთხილამურეთათვის. იჩქარეთ! თქვენ პირველად გეძლევათ შესაძლებლობა თავი გამოსცადოთ ევროპულ ტრასებზე და დაევწყარი 2 კვირა გაატაროთ დეკემბრის თვეში.

და ახლა კი ინფორმაცია მონტე-კარლო-პარიზი-ნიცას შესახებ:

გინდათ მინახულოთ მონტე-კარლოს სახელგანთქმული კაზინოები? დაათვალიეროთ ევროპის მარგალიტი პარიზი? დაისვენოთ სახელგანთქმულ საკურორტო ქალაქ ნიცაში და გაისეირნოთ ბიარიცის სანაპიროზე?

ამ მოგზაურობას 7.I— 14.I გთავაზობთ საბჭოთა მანეთებზე. მგზავრობის ღირებულებაში შედის 100$ გადახურდავება.

ჩვენი მისამართია: ბუდაპეშტის 1, ტელ: 37-58-25.

იჩქარეთ! გელოდებით დღეიდანვე! ყოველი წუთის დაფიქრებამ შეიძლება საგზურის გარეშე დაგტოვოთ!

ფირმა „ტს“

უცხო ენების შესწავლის მსურველთა საყურადღებოდ

გთავაზობთ უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებს ფსიქოლოგთა დახმარებით: **ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ესპანური.**

მეცადინეობას, რომლის ვადაა 3 ადა 6 თვე წაუძღვებიან მაღალკვალიფიციური სპეციალისტები. სწავლა იწყება 15 ნოემბრიდან. მსურველებს ვთხოვთ დაწვრილებითი ინფორმაციისათვის მოგვმართონ 15 ნოემბრამდე. შემდეგ მისამართზე: **ყაზბეგის გამზ. (ყოფ. პავლოვის ქუჩა) №39, 60-ე საშ. სკოლა. ტელ: 39-21-78.**

გამომცემლობა „მერანის“ გრიფით დაისტამბა ახალგაზრდა მწერლის — თეიმურაზ ბაბუნიას რომანი — „მედეა“.

ნაწარმოებში თხვილებურადაა დამუშავებული ფაუსტურითემა. აქ თქვენ შეხვდებით თანამედროვე ამორძალებსაც...

თუმცა სიუჟეტის ღერძს მაინც შურისძიება წარმოადგენს, შურისძიება ქალისა, წლების შემდეგ თავს კიდევ ერთხელ რომ ახსენებს თავის „ძველ ნაცნობს“. რომანის პერსონაჟისათვის არც გაუცხოების ის გრძნობაა უჩვეულო, ასერიგად რომ სტანჯავთ დიდი ქალაქების ბინადართ. დაკვირვებული მკითხველი უთუოდ შენიშნავს მითოლოგიურ პარალელებსაც...

წიგნი ძირითადად იყიდება ლესელიძის ქუჩის №4-ში მდებარე სავაჭრო-შემსყიდველ ფირმა — „ქალდეაში“, ასევე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინ.

რომანი გამოდის ავტორის ხარჯით.

შემოქმედებითი კოლექტივების საყურადღებოდ!

შემოქმედთა საზოგადოებრივი გაერთიანება **„ქიმერიონი“** გეგმავს 1992-93წწ. ქართული შემოქმედებითი კოლექტივების გასტროლებს შემდეგ ქვეყნებში: ჩინეთი, სინგაპური, ტაივანი, ჩრდილოეთ კორეა, იაპონია, და ა.შ. დაინტერესებულ კოლექტივებს (კერძოდ კამერული და სიმფონიური ორკესტრების, ნებისმიერი ჟანრის ფოლკლორული კოლექტივები, საბალეტო დასი) გთხოვთ წარმოადგინოთ შესაბამისი სარეკლამო მასალა შემოქმედთა საზოგადოებრივი გაერთიანება „ქიმერიონის“ დირექციაში.

ჩვენი მისამართია: სასტუმრო „აჭარა“, ოთახები №110, 112, 123, 125.

ტელეფონი ცნობებისათვის: 36-92-40, 36-92-42, 36-92-51, 36-92-55

ღალგზრდა ქვრელი

Общественно-политическая газета

ტელეფონები: მიხალები — 98-97-31; პასუხისმგებელი მდივანი — 98-31-56; წერილების განყოფილება — 99-00-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორი

მერაბ ბალარჯიშვილი

საქართველოს ეროვნულ-გაზეთების გამომცემლობა „ხამშობლოს“ სტამბა თბილისი, მ. კოსტავას 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში ხოშარაულის 29, 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15.

НАШ ИНДЕКС 66400

რედაქციის მისამართია ქ. თბილისი — 380096 მ. კოსტავას ქ. № 14.